ადრეული ასაკის (18–72 თვე) ბავშვის განვითარების მონიტორინგისა და სასკოლო მზაობის შეფასების ინსტრუმენტი

შეფასების ინსტრუმენტი შემუშავებულია პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი - საქართველო I2Q (WB) ფარგლებში“

შეფასების ინსტრუმენტის მიზნები:

ეს შეფასების ინსტრუმენტი შემუშავებულია ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების მონიტორინგისა და დოკუმენტირებისთვის. ინსტრუმენტი გთავაზობთ სტრუქტურირებულ მიდგომას, ბავშვის პროგრესის შესაფასებლად, განვითარების სხვადასხვა სფეროში და ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- **ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მონიტორინგი -** ინსტრუმენტი საშუალებას გაძლევთ, სასწავლო წლის განმავლობაში, გააანალიზოთ თითოეული ბავშვის პროგრესი განვითარების ყველა სფეროში, რაც მთლიანობითი სურათის დანახვის შესაძლებლობას მოგცემთ.

- **ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული გეგმის შემუშავება -** შეფასების შედეგები გეხმარებათ, შექმნათ ბავშვზე მორგებული საგანმანათლებლო სტრატეგიები და მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ჰარმონიულ განვითარებას.

- **ოჯახთან ეფექტური კომუნიკაცია** - ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ობიექტურ და გასაგებ მონაცემებს ბავშვის მიღწევების შესახებ, რაც აადვილებს მშობლებთან კონსტრუქციულ დიალოგს და მათ ჩართულობას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროცესში.

- **პროფესიული გადაწყვეტილებების მიღება -** შეფასების სისტემური მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში, გვეხმარება სირთულეების ადრეულ იდენტიფიცირებაში, დროულ გადამისამართებასა და ჩარევაში.

- **პორტფოლიოს შექმნა და დოკუმენტირება -** ინსტრუმენტი ემსახურება ბავშვის განვითარების პორტფოლიოს საფუძველს, რომელიც ასახავს მის ზრდას დროთა განმავლობაში.

- **ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტთან შესაბამისობა**

შეფასების ეს ინსტრუმენტი აგებულია "ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის" მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ მასში ასაკობრივი ჯგუფები და სფეროები ერთნაირია.

ასასკი: ინსტრუმენტი შედგება სამი ნაწილისგან და აფასებს ბავშვის განვითარებას:

- 18 თვიდან 36 თვის ასაკამდე,
- 30 თვიდან 60 თვის ასაკამდე,
- 54 თვიდან 72 თვის ასაკამდე.

სტანდარტის მსგავსად, აქაც ადგილი აქვს 6 თვიან გადაფარვებს. ეს გადაფარვები უზრუნველყოფს უფრო მოქნილ და ინდივიდუალურ შეფასებას, რადგან ბავშვები განსხვავებული ტემპით ვითარდებიან და ყველა ბავშვი ერთსა და იმავე ასაკში არ აღწევს ერთსა და იმავე განვითარების ეტაპს. გადაფარვები საშუალებას იძლევა აღმზრდელებმა აირჩიონ ბავშვისთვის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფი - თუ ბავშვი უფრო სწრაფად ვითარდება, შეიძლება შეფასდეს მაღალი ჯგუფის კრიტერიუმებით, ხოლო თუ განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს, შესაძლებელია ქვედა ჯგუფისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტის გამოყენება. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის რეალური შესაძლებლობების ობიექტურ შეფასებას და თავიდან აგვაცილებს არაადეკვატურ მოლოდინებს, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა მხოლოდ ბავშვის მეტრიკულ ასაკზე.

სფეროები და მიმართულებები: სტანდარტის შესაბამისად, განვითარების ეს ინსტრუმენტი აფასებს შემდეგ სფეროებს:

- **ფიზიკური და სენსორული განვითარება;**
- **სოციალურ-ემოციური განვითარება;**
- **კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება;**
- **შემეცნებითი განვითარება;**
- **დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება.**

და მიმართულებებს:

- **ხელოვნება;**
- **წიგნიერება;**

- **მეცნიერება.**

როგორც სტანდარტში, შეფასების ამ ინსტრუმენტშიც ხუთივე სფერო დაყოფილია შესაბამის ქვესფეროებად:
ქვესფეროები:

- **ფიზიკური და სენსორული განვითარება** - მსხვილი მოტორიკა, ნატიფი (წვრილი) მოტორიკა, სენსორულ-მოტორული განვითარება.
- **სოციალურ-ემოციური განვითარება** - თვითშეფასება, ემოციური კომპეტენცია, სოციალური კომპეტენცია.
- **კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება** - რეცეპტული ენა, ექსპრესული ენა, პრაგმატული ენა, წერა-კითხვის საბაზისო უნარები.
- **შემეცნებითი განვითარება** - ცნობისმოყვარეობა და ყურადღება, შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა, აზროვნება და კვლევა.
- **დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება** - ინიციატივა, თვითმოვლა, დაცულობა, ადაპტური ქცევა.

კატეგორიები: ხოლო თითოეული ქვესფერო, თავის მხრივ, იყოფა **კატეგორიებად,** რომელსაც განვითარების შესაბამისი ინდიკატორები (მაჩვენებლები) აქვს. მაგალითად, ემოციური კომპეტენციის კატეგორიებია:

- ემოციის გაგება;
- ემოციის გამოხატვა;
- ემოციების და ქცევის მართვა;
- იმპულსების და ქცევის მართვა.

შესაბამის ქვესფეროებადაა დაყოფილი ხელოვნების, წიგნიერებისა და მეცნიერების მიმართულებებიც:

- **ხელოვნება** - ვიზუალური ხელოვნება, სახვითი ხელოვნება;
- **წიგნიერება;**
- **მეცნიერება** - მე და ჯანსაღი ცხოვრება, ადამიანი და მსოფლიო, დედამიწა და გარემო, რიცხვები და სიდიდეები, სხეული და მოვლენები, ადამიანი და მანქანები.

თავის მხრივ, აქაც ქვესფეროები კატეგორიებად იყოფა, მაგალითად, რიცხვებისა და სიდიდეების კატეგორიაში შედის:

- კლასიფიკაცია;
- სივრცითი აღქმა;
- რიცხვები;
- გაზომვა.

ინდიკატორები: როგორც ქვემოთ მოცემულ მაგალითშია ნაჩვენები, თითოეულ კატეგორიას აქვს თავისი განვითარებადი ინდიკატორები, რომლებიც ასახავს ბავშვის უნარების თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესს. მაგალითად, კატეგორიაში "შეხება და გემო" განვითარება იწყება იქიდან, რომ ბავშვი ჯერ არ ფლობს კონკრეტულ უნარს (0 ქულა). პირველ ძირითად ეტაპზე ბავშვი სწავლობს ნაცნობი საგნების ამოცნობას შეხებით (1 ქულა), ხოლო 2 ქულა წარმოადგენს შუალედურ ეტაპს ამ უნარსა და მომდევნო უნარს შორის. შემდეგ ძირითად ეტაპზე ბავშვი უკვე იყენებს ზედსართავ სახელებს უცნობი ობიექტების აღსაწერად, მხოლოდ შეხებით (3 ქულა), ხოლო 4 ქულა ასევე წარმოადგენს შუალედურ ეტაპს. ყველაზე მაღალ დონეზე კი ბავშვს შეუძლია მსგავსების მიხედვით საგნების შედარება, მხოლოდ შეხების საშუალებით (5 ქულა).

	0	1	2	3	4	5
შეხება და გემო	ჯერ არა	ნაცნობ ობიექტებს ამოიცნობს შეხებით, მათი დანახვის გარეშე.		იყენებს ზედსართავ სახელებს უცნობი ობიექტების აღსაწერად შეხებით, დანახვის გარეშე.		მსგავსების მიხედვით, შეხებით ადარებს ობიექტებს.

შეფასების ინსტრუმენტში ინდიკატორების უმრავლესობას, ინდიკატორის უკეთ გასაგებად წარმოდგენილი აქვს მაგალითი:

	0	1	2	3	4	5
შეხება და გემო	ჯერ არა	ნაცნობ ობიექტებს ამოიცნობს შეხებით მათი დანახვის გარეშე.		იყენებს ზედსართავ სახელებს უცნობი ობიექტების აღსაწერად		მსგავსების მიხედვით, შეხებით ადარებს ობიექტებს.

				შეხებით, დანახვის გარეშე.		
		მაგალითი: გიორგი კოვზს ან დათუნიას სათამაშოს შეხებით - შეგრძნებით ამოიცნობს.		მაგალითი: ნათია ობიექტს აღწერს, როგორც „ხორკლიანს“, „მყარს“ და „უსწორმასწოროს“.		მაგალითად, ლიკა დანახვის გარეშე, შეხებით ადარებს საგნებს საერთო მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა მსუბუქი, მძიმე, ფუმფულა, სველი, მშრალი და ა.შ.

როგორ გამოვიყენოთ შეფასების ინსტრუმენტი:

ეს ინსტრუმენტს მთელი წლის განმავლობაში აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს, როგორც თითოეული ბავშვის პორტფოლიოსთვის მონაცემების შეგროვების გაიდლაინი.
კონკრეტული ბავშვის შეფასების ჩასატარებლად, ჯერ აღმზრდელმა უნდა მონიშნოს ყველა ის ინდიკატორი, რაც უკვე იცის ბავშვის განვითარების შესახებ (ის რის გახსენებაც შეუძლია). შემდეგ, დარჩენილი ინდიკატორებისთვის, მან უნდა გამოიყენოს დაკვირვებები, ფოტოები, ბავშვის ოჯახის წევრებთან ინტერვიუები, რათა შეაფასოს ბავშვის მოსწრება განვითარების თითოეულ ქვესფეროში.

ქულების მინიჭება:

- თუ ბავშვი მოცემული კატეგორიის არც ერთ ინდიკატორს არ ასრულებს მონიშნეთ 0-„ჯერ არა“.
- მონიშნეთ ის ინდიკატორი, რომელსაც ბავშვი ასრულებს.
- თუ თვლით, რომ ის პირველ და მესამე ან მესამე და მეხუთე ინდიკატორებს შორისაა, მაშინ მონიშნეთ შესაბამისი ველი (2 ან 4).
- თუ ბავშვი ინდიკატორების ჩამონათვალიდან რამდენიმეს ასრულებს, მონიშნეთ ყველაზე მაღალი რიცხვის მქონე ინდიკატორი (იხ. მაგალითი 1).

ქვესფეროს ქულების დასათვლელად, ჯერ

- დათვალეთ თითოეული ქულის ქვეშ რამდენი კატეგორიაა მონიშნული და რაოდენობა ჩაწერეთ ამ გრაფაში „თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა“
- შემდეგ გამოთვალეთ თითოეული ქულის ჯამი, ამისათვის შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა გაამრავლეთ თავად ქულაზე (იხ. მაგალითი 1)
- ამის შემდეგ ეს ქულები შეაჯამეთ, რათა მიიღოთ საერთო ქულა მოცემული ქვესფეროსთვის (იხ. მაგალითი 1). ეს ჯამი ჩაწერეთ გრაფაში „**ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი**“
- ამის შემდეგ განსაზღვრეთ ქვესფეროს პროცენტული მაჩვენებელი . ამისათვის მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო მაქსიმალურ ჯამზე და გაამრავლეთ 100-ზე.
- სფეროს პროცენტულობის გამოსათვლელად, შეაჯამეთ ამ სფეროს ყველა ქვესფეროს ქულები და მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო მაქსიმალურ ჯამზე (მაგალითი 1).

ბოლოს შეავსეთ ყველა სფეროს ქულების შეჯამება ბოლო გვერდზე, მონიშნეთ ძლიერი მხარეები და რეკომენდაციების სფეროები. შექმენით მინიმუმ 3 რეკომენდაცია ბაღისა და სახლისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას ამ პრიორიტეტულ სფეროებში (იხ. მაგალითი 2).

მაგალითი: 1. სფერო II. სოციალურ-ემოციური განვითარება

ქვესფერო 2.1 თვითშემეცნება: ბავშვი ავლენს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ.

კატეგორიები:	**ჯერ არა**	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
მიჯაჭვულობა	ჯერ არა	საყვარელ ადამიანებზე სასაუბროდ იყენებს კუთვნილებით ნაცვალსახელებს.		ახალ გარემოში აღმზრდელისგან განცალკევებას ეგუება.		ადვილად ემშვიდობება ოჯახის წევრებს.
		მაგალითი: გიორგი ამბობს: „დედაჩემი სამსახურშია“.		მაგალითი: მარიამი კართან დგას მამის წასვლის შემდეგ, მაგრამ როდესაც აღმზრდელი წიგნის წაკითხვას სთავაზობს,		მაგალითი: ნინო დედას მხიარულად ეუბნება: „ნახვამდის, დედა, ახლა მეგობრებთან ერთად ვითამაშებ!“

				მასთან ერთად მიდის.		
თვით-იდენტობა	ჯერ არა	იცის საკუთარი სახელი, ოჯახის წევრების და რამდენიმე თანატოლის სახელი.		ასახელებს იმ ადგილის (ქალაქის, სოფლის) სახელწოდებას, სადაც ის ცხოვრობს.		ესმის, რომ აქვს აზრები, გრძნობები, ემოციები.
		მაგალითი: ლევანი ოჯახურ ფოტოზე საუბრისას ამბობს: „ეს ჩემი სახლია, დედაჩემი, მამაჩემი, გიორგი და ბებია“.		მაგალითი: ნათია ამბობს: „მე ოჯახთან აცანაში ვცხოვრობ“.		მაგალითი: დავითი ამბობს: „გავბრაზდი, როცა გარეთ თამაში ვერ შევძელით, მაგრამ დედაჩემმა თქვა, რომ დავსველდებოდი“.
ინიციატივა	ჯერ არა	ირჩევს, რა ტანსაცმელი ჩაიცვას.		დამოუკიდებლად ირჩევს სათამაშო აქტივობებს.		მზრუნველს სთხოვს დახმარებას როგორც თავისთვის, ასევე მეგობრისთვის.
		მაგალითი: ნანა ირჩევს კაბას, რომლითაც ბაღში უნდა წასვლა.		მაგალითი: ლენა თაროდან ირჩევს თავსატეხს, მიაქვს მაგიდასთან და აწყობს.		მაგალითი: ნიკო აღმზრდელს ეუბნება -„მე და გიორგის კიდევ გვჭირდება გირჩები, შეგვიგროვებ?“
კომპეტენცია	ჯერ არა	გამოხატავს სიხარულს პირადი მიღწევების გამო და უზიარებს სხვებს.		გამოხატავს სიხარულს ახალი უნარის შესწავლით.		სიფრთხილეს იჩენს საგნებით მანიპულირებისას, კარგად ესმის მათი დანიშნულება და იცის გამოყენება.
		მაგალითი: ანა აღმზრდელს აჩვენებს დასრულებულ თავსატეხს და ეუბნება: „შეხედე, რა გავაკეთე!“		მაგალითი: ლიკა ამბობს: „მე ამ მორზე გავლა შემიძლია!“		მაგალითი: ანიკა ფრთხილად იყენებს მაკრატელს, დანა-ჩანგალს და ა.შ.

თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:		2		1		1

ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):		2		3		5
ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:	10	**შესაძლო მაქსიმალური ქულა:**	20	**პროცენტი:**	50%	

ქვესფერო 2.2 ემოციური კომპეტენცია: ბავშვი ავლენს ემოციურ კომპეტენციას.

კატეგორიები:	**ჯერ არა**	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
ემოციების გაგება	ჯერ არა	ამჩნევს სხვებში ემოციებს.		ემოციებს დრამატული თამაშისას იყენებს.		აღწერს იმ დროს, როდესაც მისმა ქცევამ გავლენა მოახდინა სხვის გრძნობებზე.
		მაგალითი: თამარი მიდის ბავშვთან, რომელიც ტირის და მხარზე ხელს ადებს.		მაგალითი: ლიკა ხელში თოჯინას არხევს და ამბობს: „ბავშვი მოწყენილია, რადგან დედა წავიდა“		მაგალითი: მირიამი ამბობს: „ჩემი ძმა გაბრაზდა, როცა მისი სატვირთო მანქანა ავიღე“
ემოციების გამოხატვა	ჯერ არა	ასახელებს ოთხ ძირითად ემოციას: სევდას, სიხარულს, გაბრაზებას/ და შიშს.		ემოციებს გამოხატავს სახის გამომეტყველებითა და სხეულის ენით.		ასახელებს და საუბრობს საკუთარ გრძნობებსა და ემოციებზე, მათ შორის უფრო რთულ გრძნობებზე, როგორიცაა იმედგაცრუება, სიამაყე.
		მაგალითი: თინა ამბობს: „მეშინია, როცა შუქს თიშავენ“ ლუკა ამბობს: „ მიხარია, დღეს ბაბუას ვნახავ“.		მაგალითი: ქეთევანი ფეხს აბაკუნებს და ამბობს: „ძალიან გაბრაზებული ვარ, რომ ველოსიპედი წამართვი!“		მაგალითი: ალექსანდრე ამბობს: „ იმედი გამიცრუვდა, ზოოპარკში რომ ვერ წავედით“
ემოციების მართვა	ჯერ არა	ძლიერი ემოციების დროს ეძებს მხარდაჭერას და		ასახელებს ისეთ ძლიერ ემოციებს, როგორიცაა ბრაზი		ძლიერი ემოციების დროს მშვიდდება ზრდასრულის მცირე

		ყურადღებას აღმზრდელებისგან		და შიში და არ ამბობს უარს აღმზრდელის დახმარებაზე		დახმარებითაც კი
		მაგალითი: გიორგი ველოსიპედიდან ვარდება, დგება და ნუგეშის სათხოვნელად აღმზრდელთან მიდის.		მაგალითი: თამაზი ამბობს: „გაბრაზებული ვარ, რომ თამარის გვერდით ვერ დავჯდები“ და იღებს აღმზრდელის შეთავაზებას, დაჯდეს ახალი ბავშვის გვერდით, რათა მან თავი კომფორტულად იგრძნოს.		მაგალითი: ნინოს სითხე დაეღვარა და ამის გამო ცუდ განწყობაზე დადგა. ნინო ტილოს მოსატანად წავიდა, მას შემდეგ, რაც აღმზრდელმა შესთავაზა ერთად გაეწმინდათ იატაკი. .
იმპულსების მართვა	ჯერ არა	იწყებს იმპულსების კონტროლს.		ავლენს ჯგუფურ სიტუაციებში მოთმინების უნარს.		შეუფერხებლად გადადის ერთი აქტივობიდან მეორეზე.
		მაგალითი: ლუკა ამბობს „არას“, როდესაც აკრძალულ ნივთებს სთავაზობენ; ცდილობს თავი შეიკავოს იატაკზე დადებულ წიგნზე ფეხის დადებისგან.		მაგალითი: ჯგუფური გაკვეთილების დროს მირიამი თავის ჯერს ელოდება; ალექსი სხვა ბავშვს ეკითხება, რომელიც მოლბერტთან ხატავს: „როდის არის ჩემი ჯერი?“		მაგალითი: მარია ქვიშის სათამაშოებს შესანახ ურნაში დებს, როდესაც ეუბნებიან, რომ შიგნით შესვლის დროა.

თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:		1		3		
ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):		1		9		
ზედა მწკრივში მოცემული	10	**შესაძლო მაქსიმალური**	20	**პროცენტი:**	50%	

ქულების ჯამი:		**ქულა:**			

ქვესფერო 2.3 სოციალური კომპეტენცია: ბავშვი პროსოციალურ ქცევას ავლენს.

კატეგორიები:	**ჯერ არა**	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
სოციალური მოლოდინები და ნორმები	ჯერ არა	იცის, რომ „ცუდი ქცევა“ აღმზრდელის მხრიდან ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს		მოითხოვს სხვებისგან წესების დაცვას		ცვლის საკუთარ ქცევას სხვადასხვა გარემოებებთან შესაბამისად
		მაგალითი: მაია აღმზრდელს უყურებს, როდესაც ერთი ბავშვი მეორე ბავშვს სათამაშოს ართმევს.		მაგალითი: თამთა სხვა ბავშვს ეუბნება, სად დადოს სათამაშო, რათა ის თავის ჩვეულ ადგილას იდოს.		მაგალითი: ნინო ჩურჩულით საუბრობს ისეთ გარემოში, როგორიცაა მუზეუმი ან ბიბლიოთეკა, რიგს იცავს და ხმადაბლა საუბრობს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ხოლო ხმამაღლა თამაშობს სხვა ბავშვებთან სათამაშო მოედანზე.
ურთიერთობები	ჯერ არა	ესაუბრება აღმზრდელს ბოლო დროინდელ ამბებზე		კითხვებს უსვამს აღმზრდელებს		გამოხატავს საკუთარ აზრსა და მოლოდინებს აღმზრდელებთან
		მაგალითი: თამარი ამბობს: „გუშინ ბებიასთან ერთად პარკში წავედი“.		მაგალითი: ნიკოლოზი ლოკოკინას უყურებს და ეკითხება: „რატომ აქვთ ლოკოკინებს ნიჟარები?“		მაგალითი: ლიკა ეუბნება აღმზრდელს: „არ მიყვარს წებოს გამოყენება, რადგან ხელებზე მეწებება“.
სოციალური თამაშები	ჯერ არა	იწყებს სხვა ბავშვებთან ერთად თამაშს, აჩვენებს, რომ სიამოვნებს მათთან თამაში.		მისი ქცევა შეესაბამება თამაშის წესებს		უერთდება ბავშვების ჯგუფებს, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა თამაშებში, თამაშობენ ერთად და იცავს წესებს
		მაგალითი: მირიამი სათლს აძლევს ბავშვს, რომელიც ახლახან შევიდა საქვიშეში		მაგალითი: ნიკო თამაშის დროს თანმიმდევრობას იცავს და თავის რიგს გიორგის შემდეგ იკავებს		მაგალითი: მიხო შეუერთდა ბავშვების ჯგუფს, რომლებიც ნავს აშენებენ და მიდის ჯოხების მოსატანად, რათა ღუზა ააგოს

კონფლიქტის მოგვარება	ჯერ არა	კონფლიქტის მოსაგვარებლად უფროსების მითითებებს მიჰყვება		შეუძლია პრობლემური სიტუაციის იდენტიფიცირება და აღწერა და ზრდასრულის დახმარებით კონფლიქტის მოსაგვარებლად მარტივი გადაწყვეტილებების გამოყენება		კონფლიქტების მოსაგვარებლად დამოუკიდებლად იყენებს სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის სტრატეგიას
		მაგალითი: აღმზრდელის მითითებით, თათია თანატოლს ეუბნება: „არ მომწონს, რომ ჩემი თოჯინა აიღე, დამიბრუნე“		მაგალითი: ნინო ამბობს: „ეს ჩემი წითელი ფანქარია. შეგიძლია იქ წახვიდე და სხვა მოიტანო“.		მაგალითი: ნათია ამბობს: „ბუმბულიანი მხოლოდ ერთი კაბაა. ჯერ შენ ჩაიცვი და მერე მეც ჩავიცვამ“.

თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:		2		2		
ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):		2		6		
ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:	8	**შესაძლო მაქსიმალური ქულა:**	20	**პროცენტი:**	40%	

სფერო	**სფეროში ყველა ქვესფეროს ქულების ჯამი:**	**შესაძლო ქულები:**	**პროცენტი (მე-2 სვეტიდან მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო ჯამზე):**

II. სოციალურ-ემოციური განვითარება	**2.1 თვითშემეცნება**	**10**	60	46%
	2.2 ემოციური კომპეტენცია	**10**		
	2.3 სოციალური კომპეტენცია	**8**		
	ჯამი	**28**		

მაგალითი 2. ბავშვის განვითარების შეფასების ქულების შეჯამება:

ბავშვის სახელი:			**ბაღი:**	
დაბადების თარიღი:			**შეფასების თარიღები:**	
ბავშვის ასაკი თვეებში:			**შემფასებელი:**	

სფერო	**სფეროში ყველა ქვესფეროს ქულების ჯამი:**	**შესაძლო ქულები:**	**პროცენტი (მე-2 სვეტიდან მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო ჯამზე):**	**მონიშნეთ ყველაზე ძლიერი სამი სფერო (ყველაზე მაღალი %)**	**რეკომენდაციებისთვის მონიშნეთ სამი სფერო (ყველაზე დაბალი %)** ✔

				✔	
I. ფიზიკური და სენსორული განვითარება	63	90	70%	+	
II. სოციალურ-ემოციური განვითარება	28	60	46%		+
III. კომუნიკაცია, ენა და მეტყველება	27	45	60%		
IV. შემეცნებითი განვითარება	35	45	77%	+	
V. დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა	39	55	70%	+	
VI. ხელოვნება	8	25	28%		+
VII. წიგნიერება	9	15	60%		
VIII. მეცნიერება	55	95	57%		+

რეკომენდაციები ბავშვის განვითარების მხარდასაჭერად:
შენიშვნა: უნდა იყოს მინიმუმ სამი რეკომენდაცია და ისინი უნდა შეესაბამებოდეს შემაჯამებელ ცხრილში მონიშნულ სფეროებს ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლით.

	სფერო	**რეკომენდაციები ბაღისთვის** (შენიშვნა: დარწმუნდით, რომ ისინი შესრულებადია და თავსებადია ბაღის რუტინასთან)	**რეკომენდაციები სახლისთვის** (შენიშვნა: დარწმუნდით, რომ ისინი შესრულებადია ტიპური ოჯახური რუტინის ფარგლებში)

1.	**სოციალურ-ემოციური**	**წავახალისო, დააკვირდეს სხვა ბავშვების ემოციებს სხვადასხვა სიტუაციებში და იფიქროს მიზეზებზე**	**ერთად წაიკითხეთ საბავშვო მოთხრობები და ყურადღება გაამახვილებინეთ პერსონაჟების ემოციებსა და მოტივებზე**
2.	**ხელოვნება**	**სხვადასხვა მასალებით ხატვის წახალისება, ძერწვის წახალისება - ნაძერწსა და ნახატს შორის განსხვავებაზე საუბარი**	**მიეცით ხატვისა და ნახატების დათვალიერების საშუალება**
3.	**მეცნიერება**	**ნიკოსთან მეტი ინდივიდუალური ყურადღება დავუთმო საგნების ფიზიკურ მახასიათებლებზე და ფორმის შეცვლის შესაძლებლობებზე საუბარს**	**ერთად დაათვალიერეთ საბავშვო ენციკლოპედიები**